3.

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება – 02
საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
Business Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

მენეჯმენტში, მარკეტინგში, ფინანსებში, საბუღალტრო აღრიცხვაში
Bachelor of Business Administration
(Management; Marketing; Finances; Accounting;)

პროგრამის ხელმძღვანელი: ლაფაჩი ავთანდილ - ეკონომიკის დოქტორი ,ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ბიზნესის ადმინისტრირება- **Business Administration**

მიმართულება
მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება – 02

ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
პირველი საფეხური, ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის გეგმური ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი, ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს. წელიწადში–60 კრედიტს, სემესტრში–30 კრედიტს. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს, 1 ასტრონომიული საათი = 60 წთ. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. საბაკალავრო პროგრამის საერთო მოცულობაა 240 ECTS კრედიტი = 6000 სთ. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი. პროგრამის განხორციელების სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური და ჯგუფური დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედური და საბოლოო გამოცდების მომზადება-ჩაბარების ფორმატით); ***შენიშვნა:*** *იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის,ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა 4 (ოთხი) დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს აკადემიური ხარისხი.* ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, სადაც 135 - ძირითადი სპეციალობის (major) სავალდებულო კრედიტებია;

35 - ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულის კრედიტია (ასეთი ამ პროგრამაში ოთხი ძირითადი სპეციალობის მოდულია, საიდანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთ მოდულს: საბუღალტრო აღრიცხვა; ფინანსები; მენეჯმენტი; მარკეტინგი). დანარჩენი 70 კრედიტი მოიცავს დამატებითი სპეციალობის (minor) არჩევითი მოდულის – 60 კრედიტს (პროგრამა მოიცავს ორ არჩევით მოდულს: ეკონომიკის და ტურიზმის მოდულს) და 10 - თავისუფალი კომპონენტების (არჩევითი საგნების) კრედიტს. ე.ი. სტუდენტს რომელიც სწავლობს ამ პროგრამაზე აქვს სამი მიმართულებით არჩევანის გაკეთების საშუალება: მას შეუძლია აირჩიოს ოთხი ძირითადი სპეციალობის მოდულიდან ერთი და ამ სპეციალობას დაეუფლოს ასევე შეუძლია ორი დამატებითი სპეციალობის მოდულიდან აირჩიოს ერთი და დაეუფლოს დამატებით ცოდნას და სწავლების პირველ და მეორე სემესტრში გაიაროს ის სასურველი საგნები რომელიც ვერ მოხვდა ძირითადი საგნების ჩამონათვალში.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი

პროგრამის კურსდამთავრებული კვალიფიკაციის ფორმირება ხდება მიმართულებისა და ერთ-ერთი არჩეული სპეციალობის მიხედვით:

- *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში*
  Bachelor of Business Administration in Management

- *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში*
- *Bachelor of Business Administration in Marketing*

- *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში*
  Bachelor of Business Administration in Finances

- *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში*
  Bachelor of Business Administration in Accounting

კურსდამთავრებულს კვალიფიკაცია მიენიჭება არანანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შესაბამისად შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მოთხოვნებისა და ვადების შესაბამისად.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც კარგად ესმით ბიზნესის არსი და ფლობენ სხვადასხვა ბიზნეს სიტუაციაში და ბიზნეს საკითხების მიმართ გამოყენებადი საშუალებებისა და მეთოდების ფართო სპექტრს. რომლებიც მმართველობითი საქმიანობის თეორიული საფუძვლების, პრაქტიკული ასპექტების ცოდნის, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების გამოყენებით შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის წარმატებით დასრულება საშუალებას მისცემს სტუდენტებს, ერთიანად გაიაზრონ ყველა ის თეორია, უნარ-ჩვევა თუ საშუალება, რომლებიც მათ სასწავლო პროცესის განმავლობაში შეისწავლეს და მოახდინონ მათი ინტეგრირება სწავლაზე დაფუძნებულ გამოცდილებაში, რაც წარმოაჩენს კონკურენტული გარემოს ბუნებას და წარმატების მისაღწევად აუცილებელი სტრატეგიული მანევრირების ხასიათს. პროგრამის მიზნები, განხორციელების სტრატეგია და მეთოდები იძლევა შესაძლებლობას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე ბიზნესის სხვადასხვა სფეროში კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასა და მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას ასევე, განაპირობებს სტუდენტის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურში.

მენეჯმენტის მოდული უზრუნველყოფს *კადრების მომზადებას კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის,* დინამიურ ბიზნეს-გარემოში მუშაობისა და მენეჯმენტის სწორად წარმართვის უნარით აღჭურვილი

ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც პროფესიულ კარიერის მისაღწევად ფლობენ ლიდერის, ხელმძღვანელის უნარებს, იცავენ მენეჯერის სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს.

მოდული ორიენტირებულია თანამედროვე სამეწარმეო სუბიექტისა და მისი ორგანიზაციული ქვედანაყოფების ეფექტურ მართვასა და ადმინისტრირებაზე.

მარკეტინგის მოდული უზრუნველყოფს *მარკეტოლოგების მომზადებას კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, რომლებიც შეძლებენ გამოავლინონ მომხმარებელთა ჯგუფების გამოვლენას, ბაზრის სეგმენტირებას, მიზნობრივი სეგმენტების შერჩევას და საქონლის პოზიციონირებას ბაზარზე.*

მოდული ორიენტირებულია მოგების მიღების მიზნით ბაზრისა და კონკრეტულ მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესწავლასა და ამ მიზნით საქონლის და მომსახურების ორიენტაციის, სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირების, სტიმულირებისა და გაყიდვის გაფართოების პროცესების მართვაზე .

ფინანსების მოდული უზრუნველყოფს *კადრების მომზადებას კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება თეორიული და სპეციალური ცოდნა ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო სფეროში; შეისწავლის საფინანსო და სადაზღვევო საქმის მართვის პროცესის ბუნებას, ძირითად კანონზომიერებებსა და ტექნოლოგიებს, ფინანსების თანამედროვე კონცეფციებს და მიდგომებს, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო მეთოდებს და წესებს; ექნება გააზრებული ფინანსების, როგორც დარგის არსი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.*

მოდული ორიენტირებულია თანამედროვე სამეწარმეო სუბიექტისა და მისი ორგანიზაციული ქვედანაყოფების ეფექტიან ფინანსურ მართვასა და ადმინისტრირებაზე.

საბუღალტრო აღრიცხვის მოდული უზრუნველყოფს *კადრების მომზადებას კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვის აუდიტისა და საგადასახადო საქმის მიმართულების საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;*

მოდული ორიენტირებულია ორგანიზაციის ბუღალტრული საქმიანობის სწორად წარმოებაზე, როგორც კომერციულ ისე არაკომერციულ ორგანიზაციებში და ფინანსურ ინსტიტუტებში სათანადო ინფორმაციული სისტემების გამოყენებით, ფინანსური კუთხით საწარმოს საქმიანობის შეფასებასა და ბიუჯეტირებზე.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს აქვს ფინანსების სფეროს ფართო და საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც მოიცავს თანამედროვე თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და შეუძლია ამ სფეროს კომპლექსური საკითხების ღრმა გაცნობიერება; კურსდამთავრებულმა იცის: • ეროვნული და გლობალური ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს კრიტიკული გააზრების და აღწერის მეთოდები; • ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის ბიზნეს–გარემოში მიმდინარე ცვლილებების ანალიზის მეთოდები და პრინციპები; • ბიზნეს-სექტორის ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, მისი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის; • ბაზრების თეორია; ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა; • საბანკო სისტემის არსი, ცენტრალური და კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითადი პრინციპები; • ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე დაყრდნობილი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების და დებულებები, შესაბამისი ცნებების და კონცეფციების განმარტება და შინაარსი, პრობლემების გამოკვეთის და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მეთოდები; • ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო პრობლემების პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები: • ფინანსური ინფრასტრუქტურა და ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; • ფინანსური მენეჯმენტის როლი ფინანსური რესურსების მართვაში; • ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების არსი; • ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების პრინციპები და მათი სარგებლიანობა. ამას გარდა შესაბამისი მოდულის სრული კურსის ათვისების შემთხვევაში: ფინანსების მოდული: • კორპორაციათა ფინანსების არსი და მნიშვნელობა, მათი მართვის მეთოდები, შესაბამისი რისკების შეფასება და მართვა; • ცენტრალური და კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრინციპები; • საერთაშორისო ფინანსების არსი და მნიშვნელობა, მათი გამოყენების თავსებურებები და პრინციპები; • საჯარო ფინანსების არსი და დანიშნულება, მათი მართვის პრინციპები. მენეჯმენტის მოდული: • ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის პრობლემების პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები; • ადამიანური რესურსების მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა, პერსონალის ოპტიმალური მართვის პრინციპები; • კორპორაციაში და ფირმაში ორგანიზაციული ქცევის მთავარი პრინციპები, მათი დანერგვის მეთოდები;

	• პროექტების განხორციელების მთავარი პრინციპები და ოპტიმალური მეთოდები. მარკეტინგის მოდული: • მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები; • ბაზრის მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობა და ჩატარების მეთოდები; • მომხმარებელთა ქცევის შესწავლის და გათვალისწინების მთავარი პრინციპები და მეთოდები; • კომპანიის ბრენდის მნიშვნელობა და ბრენდის შექმნისა და მართვის მეთოდები საბუღალტრო აღრიცხვის მოდული: საბუღალტრო აღრიცხვის მთავარი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები, აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და ფინანსური ანგარისების სწორად შედგენა; გრძელვადიანი აქტივებისა და პროდუქციის გაყიდვების ანალიზის ჩატარება; იცის საბუღალტრო აღრიცხვის სათანადო ტერმინოლოგია; აცნობიერებს ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის და სახელმწიფო - ეროვნული, საგადასახადო სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პროცესების იდენტიფიცირება, თავისებურებების დემონსტრირება; • საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ საბაზრო გარიგებების დამოუკიდებლად ჩატარება; • ბიზნეს-ფირმების, კომპანიების კონკურენციული უპირატესობების მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გზების დასახვა, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, ეფექტიანი მენეჯმენტური და მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება, ფინანსური დოკუმენტების, საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების მომზადება; • ბიზნესთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) შესრულება ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად; ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების (მიზნის დასახვა, შესაძლებლობების ანალიზი, საქმიანი გარემოს შესწავლა, ბიზნესის წარმოების სტრატეგიის შემუშავება, ოპერატიული გეგმის შედგენა, სიტუაციური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაციის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და პროცესის კორექცია) გამოყენება საშუალო სირთულის პრობლემების გადასაჭრელად; • მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების აღმოჩენა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაჭრა, სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვა და ორგანიზება. ამას გარდა შესაბამისი მოდულის სრული კურსის ათვისების შემთხვევაში: ფინანსების მოდული: • კორპორაციათა ფინანსების ანალიზი და მართვა, შესაბამისი რისკების შეფასება და მართვა; • ცენტრალური და კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზის ჩატარება; • ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთობა;

	მენეჯმენტის მოდული: • ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა; • პერსონალის შერჩევაში მონაწილეობის მიღება და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განხორციელება; • სხვადასხვა სახის პროექტების შეფასება და პროექტების განხორციელების გზების შერჩევა. მარკეტინგის მოდული: • მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და ოპტიმიზაცია; • ბაზრის მარკეტინგული კვლევის ჩატარება (დამოუკიდებლად ან ჯგუფში) და მათი შედეგების ანალიზი; • მომხმარებელთა ქცევის მთავარი პრინციპების გამოყენებით გაყიდვების და ბრენდის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება. საბუღალტრო აღრიცხვის მოდული: ბუღალტრული აღრიცხვის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განსახორციელებლად; დამოუკიდებლად მუშაობა, ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური და საგადასახადო დოკუმენტაციის მომზადება-პრეზენტაცია; საცდელი ბალანსის მომზადება და წარდგენა; ბუღალტრული ბალანსის მომზადება და წარდგენა; საბუღალტრო, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება და სხვა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღება და საბაზრო რისკების შეფასება; მარკეტინგული მონაცემების თავმოყრა, ანალიზი, ბაზრის კვლევა, მისი შესაზლებლობების განსაზღვრა და პროგნოზირება; ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების დიაგნოსტირების და მის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენების, მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი.
დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: • რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი; • ბიზნესის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების ამოცნობის, მასზე მოქმედი ფატორების ანალიზისა და სინთეზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • ბიზნესის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; • ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლისა და განზოგადების, მომგებიანობისა და რენტაბელობის შეფასების უნარი;
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: • ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი; პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადების უნარი; • დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე

	არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი, როგორც ქართული, ისე ინგლისურ ენაზე; • გუნდური მუშაობისა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, კონფლიქტების მოგვარების უნარი; • სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: • ბიზნესის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; • შემდგომ საფეხურზე სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარი
ღირებულებები	კურსდამთავრებულს აქვს: • ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა, აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; • დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; • პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. • ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობისადმი სწრაფვა.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები	
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები/ ხერხები, როგორებიცაა სალექციო მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვ კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.	
სალექციო მეთოდი	ლექცია წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს.
ვერბალური	**აქტიური სწავლების მეთოდი,** რომელიც ცდილობს განახორციელოს კოგნიტური (შემეცნებითი) და ეფექტური გაზომვა

(სალექციო), ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:	სწავლების პროცესის ისე, რომ სტუდენტის ჩართვა სწავლების პროცესში იყოს მეტი წილი. **სინქრონული მეთოდი,** ეს არის ლექტორსა და სტუდენტს შორის არასალექციო, არამედ მის გარეთ ინტერაქტიული ჩართვა ელექტრონული საშუალებებით სხვადასხვა სახით, როგორიცაა კომენტარები, იდეების გაცვლა, დაპოსტება სხვადასხვა თემებზე. ეს მეთოდი უმეტესად ხორციელდება ფორუმების საშუალებით ვებგვერდებზე.
დისკუსია/დებატები	დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
ჯგუფური მუშაობა	ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
მუშაობა მცირე ჯგუფებში	მცირე ჯგუფებში მუშაობა საკმაოდ ცნობილი მეთოდია, რომელიც მონაწილეებს აძლევს საშუალებას, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის მუშაობასა და საერთო აზრის ჩამოყალიბებაში, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმება. მცირე ჯგუფებში მუშაობისას მორცხვ მონაწილეებსაც კი უადვილდებათ აზრის გამოხატვა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის გადაწყვეტაც დამოუკიდებლად ვერ ხერხდება.
წიგნზე მუშაობა	**ლოგიკური აზროვნების მეთოდი,** რომლის დროსაც ხდება ფაქტებზე დაყრდნობით კონკრეტული შედეგების მიღწევა. ეს ძირითადად კრიტიკული აზროვნებაა. **საშინაო დავალება,** რეგულარული დავალებები, რომელსაც სტუდენტი ასრულებს აუდიტორიის გარეთ და შედის სასწავლო კურსის შემადგენლობაში, როგორც შეფასება. **პრობლემის გადაწყვეტის მეთოდი,** რომლის დროსაც სტუდენტები თავიანთ ფიქრებსა და მოსაზრებებს გამოთქვამენ პრობლემის გადასაწყვეტად. ამ მეთოდს აქვს განსაკუთრებული შედეგი სწავლებისას. სტუდენტს უწევს დისკუსიის დროს მოიძიოს სხვადასხვა სფეროდან მიღებული ცოდნა და კომპლექსურად გამოიყენოს იგი პრობლემის გადასაწყვეტად. მეთოდის დროს წამოიჭრება ახალი კითხვები, მოსაზრებები. **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

ლაბორატორიული	გულისხმობს დავალების კეთებით ("learning through doing") სწავლებას, რაც ხორციელდება განსაკუთრებულ გარემოში - ლაბორატორიაში, და უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის კონცეპტუალურად გააზრების შესაძლებლობას.
პრაქტიკული მეთოდები	აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.
ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება)	ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი გამოიყენება დისკუსიის ან პრობლემებზე მსჯელობისას, როცა არსებობს განსხვავებული პოზიციები. ეს მეთოდი ხელს უწყობს მონაწილეებს მიეჩვიონ მოსაზრებათა არგუმენტირებას და მათ მოკლედ, ლაკონიურად წარმოჩენას.
მოზაიკა	ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მონაწილეებს დროის მცირე მონაკვეთში მიიღონ დიდი მოცულობის ინფორმაცია და, გარკვეული თვალსაზრისით, წარმატებით ცვლის ცოდნის გადაცემის სალექციო ფორმას. ამ მეთოდის საშუალებით მონაწილეები ასწავლიან ერთმანეთს. ურთიერთსწავლება _ ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა საგნის შესახებ ინფორმაციის მიღების და ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებისა, როგორიცაა რთული მასალის ახსნა, შეკითხვების დასმა, მოსმენა, ურთიერთობა და სხვა.
პრობლემის გადაჭრა	პრობლემის გადაჭრა _ მოქალაქეობრივი აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ამ მეთოდით სწავლების შედეგად მონაწილეებს ეცოდინებათ, რა სისტემა გამოიყენება ზოგადად პრობლემის გადასაჭრელად. სწავლების ეს მეთოდიკა ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: მოსმენის კულტურა, იდეების გაცვლა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა.
სადისკუსიო პრობლემის/თემების განხილვა	ეს მეთოდი უზრუნველყოფს მონაწილეთა ისეთ ურთიერთობას, რომელიც გულისხმობს აზრებისა და იდეების გაცვლას მასწავლებლის ჩაურევლად და მისი კონტროლის გარეშე. აღნიშნული მეთოდის საშუალებით მონაწილეებს უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოცემული სავარჯიშო საშუალებას აძლევს მათ, გაიაზრონ პრობლემის არსი და დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი.
დაიკავეთ პოზიცია	მოცემული მეთოდი გამოიყენება სადისკუსიო თემის განხილვის დროს. სადისკუსიო პრობლემა გულისხმობს კანონიერი საფუძვლის მქონე ორ ან მეტ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას, რომლზეც არ არსებობს ზუსტი პასუხი. ეს მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სავარჯიშოს სახით ლექციას დასაწყისში, რაც საშუალებას მისცემს მსმენელებს, გამოთქვან საკუთარი აზრი შესასწავლ თემასთან დაკავშირებით და პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი უნარ_ჩვევები. ეს მეთოდი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სემინარის ბოლოსაც მსმენელთა ცოდნის შეფასების მიზნით.
ტესტური სწავლება	რომლის დროსაც სტუდენტს ეძლევა წერილობით პრობლემა და მის გარშემო უნდა მიიღოს გადაწყვეტილება

	რამდენიმე სწორი პასუხიდან ერთ-ერთის არჩევის საშუალებით.
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)	სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება	იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
სტრატეგიული სწავლება	რომლის დროსაც ხდება სწავლების დაგეგმვა ისე რომ ის იყოს მორგებული საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ძირითადად აუმჯობესებს მეხსიერებას. გამოცდებზე გამოყენებული მეთოდია.
სასწავლო პრაქტიკა	რომლის დროსაც სტუდენტი სწავლების პერიოდში, იგზავნება საწარმოში, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოსავლენად, ითვლება როგორც სწავლების კომპონენტი.
პრაქტიკული გამოცილება	რომლის დროსაც სტუდენტი საკუთარი პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას აკეთებს საწარმოში, არა ლექტორის თანდასწრებით, არამედ გამოცდილი ინსტრუქტორის წინაშე, რომელიც მუშაობს ამ საწარმოში.
ევრისტიკული	ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
შემთხვევის ანალიზი (Case study)	პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
გონებრივი იერიში (Brain storming)	ეს მეთოდი საკმაოდ ფართოდ და ხშირად გამოიყენება, ვინაიდან სასწავლო პროგრამაში მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის მუშაობაში, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იდეები წამოყენებულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით. `გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენების წესები: 1. მოსაზრებათა გამოთქმის პროცესში თავიდან აცილება ხდება შეფასებითი გამონათქვამების (ლექტორის მიერ პასუხების შეფასების შემთხვევაში მონაწილეები თავს შეიკავებენ ახალი იდეების გამოთქმისაგან); 2. ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება რაც შეიძლება მეტი პასუხის მიღება (აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები აანალიზებენ პასუხს და შიშობენ, მათი აზრი სულელურად არ იქნეს აღქმული. ბევრი მოსაზრების არსებობის შემთხვევაში კი მონაწილეები თავისუფლად და ყოველგვარი კომპლექსის გარეშე გამოთქვამენ

	ახალ იდეებს) რაც ხელს უწყობს აუდიტორიის ჩართულობის გაზრდას;
გამოცდილებითი სწავლება	რომელიც გულისხმობს, სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში აუდიტორიის გარეთ. ამ მეთოდს ეძახიან კოლბის სწავლების ციკლს. მეთოდი განავითარა დევიდ კოლბმა და ეს არის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სტუდენტისთვის. შედგება ოთხი ციკლისაგან: ჩამოყალიბება, დაკვირვება, ასახვა, გაკეთება. თეორიული სწავლის ერთი კონკრეტული თემა დაიგეგმოს პრაქტიკული განხორციელებისათვის, ექსპერიმენტისთვის, პრაქტიკის, ექსპერიმენტის დროს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, შემდგომში გასათვალისწინებელი აუცილებელი სწავლისა თუ გამოცდილების შეძენა, ცვლილებების გათვალისწინებით ექსპერიმენტის ხელახლა დაწყება.
მოქნილი სწავლება	რომლის დროსაც სტუდენტი თვითონ ირჩევს სწავლის დროსა და თემებს თავისი საჭიროებებისა და მოთხოვნის შესაბამისად.
როლური და სიტუაციური თამაშები	როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
დემონსტრირება	ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი	• სწავლების *ინდუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. • სწავლების *დედუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. • სასწავლო პროცესში *ანალიზის* მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. • *სინთეზის* მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი	ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება	მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
დისტანციური სწავლება	სრულად ან ნაწილობრივ უნივერსიტეტის გარეთ სწავლება, რომელიც მიმდინარეობს მიმოწერით, კორესპონდენციის სახით. ამ სწავლების პროცესში მოთხოვნა ხდება პერიოდულად დაესწროს სტუდენტი სესიებს უნივერსიტეტში.
ელექტრონული სწავლება (E-learning)	ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს: დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

სტუდენტის მიღწევათა (ცოდნის) შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების (ცოდნის) შეფასება ხორციელდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტში, რომელშიც სტუდენტს ენიჭება კრედიტი

- სასწავლო უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;
- შეფასების სისტემა უშვებს *ხუთი სახის დადებით შეფასებას:* A (91%-100%), B (81%-90%), C (71%-80%), D (61%-70%), E (51%-60%). მაქხიმალური დადებითი შეფასეფა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;
- არსებობს*ორი უარყოფითი შეფასება:* FX (41-50%) და F (40% და ნაკლები). ნიშანი FX (ვერ ჩააბარა) ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს აქვს იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნითი და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის

სასწავლო კურსს და ჩააბარებს საბოლოო გამოცდას.

ქულა	შეფასება	
91%-100%	A	ფრიადი
81%-90%	B	ძალიან კარგი
71%-80%	C	კარგი
61%-70%	D	დამაკმაყოფილებელი
51%-60%	E	საკმარისი
41-50%	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40%	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

სასწავლო კურსების შეფასების სისტემა:

სასწავლო კურსების შეფასების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბასი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

სტუდენტის შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი სისტემით დაითვალისწინებსორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და საბოლოო გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო სისტემაში;

- შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და საბოლო გამოცდის შეფასების ჯამს;
- შუალედური შეფასების ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად (სამუშაო ჯგუფში[1] მუშაობა, შუალედური გამოცდები), რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი ამ ელემენტის ფარგლებში;
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება, სტუდენტის მიერ შეფასების თითოეული კომპონენტისათვის განსახორციელებლი აქტივობებისა და შეფასების წესის დადგენა შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის მიერ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია

[1] შენიშვნა: ბიზნესის ადმინისტრების საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსში გამოყენებული ტერმინი სამუშაო ჯგუფში მუშაოაბა და სემინარი იდენტური ცნებებია,

ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდეტნებისათვის.

- შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა.
- საბოლოო გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაშიმისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 30 ქულაა.
- საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა, ანუ თუკი დასკვნითი გამოცდით გათვალისიწნებულია მაქსიმუმ 30 ქულიანი შეფასება, სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით სავალდებულოა მინიმუმ 21 ქულის დაგროვება;

სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებითვის გამოიყენება ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიც არის: ქვიზი, ტესტი, პრეზენტაცია, კაზუსი და სხვა. კონკრეტული სილაბუსში მითითების გათვალისწინებით.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტიტრების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები), სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს.

დასაქმების შესაძლო სექტორებია, როგორც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო ბიზნესი, ასევე საზღვარგარეთის დარგობრივი ორგანიზაციები საქართველოში. ცალკეული მოდულების მიხედვით ბაკალავრს შეუძლია დაიკავოს სპეციალისტის ან ქვედა და საშუალო დონის მენეჯერის პოზიცია ასე მაგალითად: 1. საფინანსო სამსახურის უფროსი, ფინანსების მენეჯერი, საკრედიტო ოფიცერი, საკრედიტო ანალიტიკოსი და სხვა. 2. შესყიდვების მენეჯერი, ბუღალტერი, აუდიტორი და სხვა. 3. გაყიდვების მენეჯერი, მარკეტელოგი, გაყიდვების ანალიტიკოსი და სხვა. 4. ფილიალის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, აუდიტორი, ადამიანური რესურსების მენეჯერი და ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ბიზნესის ადმინისტრირების ან ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო

პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგან-მანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

დამატებითი სპეციალობის არჩევითი მოდული(minor) 1. მოდული: ტურიზმი

პროგრამის მიზანი	მოდულის მიზანს წარმოადგენს : • მისცეს სტუდენტებს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას ტურიზმის სფეროში • უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ ტურიზმის სახეობების კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას • მოამზადოს სპეციალისტები ,რომლებიც ცოდნაზე დაფუძნებით შეძლებენ ტურიზმის სფეროში პროცესებისა და ორგანიზაციების ადმინისტრირებას; • შეუქმნას სტუდენტებს ზოგადინტელექტუალური რესურსი, გამოუმუშაოს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარი, განუვითაროს პრაქტიკულ საქმიანობაში თეორიული ცოდნის გამოყენების ჩვევები.

განსავითარებელი კომპეტენციები:	**1.ცოდნა და გაცნობიერება:** • ფლობს ტურიზმის ტერმინოლოგიას • ფლობს ინფორმაციას ტურიზმის სფეროში მიმდინარე უმთავრესი პროცესების შესახებ; • იცის ტურისტული რესურსების სახეები, აცნობიერებს მათ მრავალფეროვნებას • ფლობს ცოდნას ტურისტული პროდუქტის კომპლექსური ხასიათის შესახებ და აცნობიერებს მის შემადგენელ კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირსა და ფორმირების თავისებურებებს • აცნობიერებს ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების მნიშვნელობას და იცნობს ექსკურსიების ჩატარების ტექნოლოგიას • აცნობიერებს საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და ტურიზმის როლს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში • ერკვევა სახელმწიფო დაბეგვრასა და საგადასახადო პრინციპებში • იცნობს განთავსების, კვებისა და ტრანსპორტის ინდუსტრიების მართვის საფუძვლებს • იცის სასტუმროთა კლასიფიკაცია • იცის ტურისტული ფირმების მართვის პრინციპები
სწავლის შედეგი	**2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სტუდენტს შეუძლია:** • ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და მათი გამოყენება; • ტურისტული საწარმოს ჩამოყალიბება, ორგანიზაციული სტრუქტურის აგება და პერსონალის შერჩევა • ტურისტული მარშრუტისა, პროგრამისა და ტურის დაგეგმა, ფორმირება და რეალიზაცია, ტურისტების მარშრუტზე მომსახურება • ტურისტული მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა პროექტების დაგეგვა და განხორციელება **3.დასკვნის გაკეთების უნარი – სტუდენტი შეძლებს:** • საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციული პოტენციალის ანალიზს რეგიონების მიხედვით; • ტურიზმისა სფეროსთვის დამახასიათებელი ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას **4. კომუნიკაციის უნარი – სტუდენტი შეძლებს:** • მონაწილეობის მიღებას დისკუსიაში შესაბამის დარგის სპეციალისტებთან; **5.სწავლის უნარი – სტუდენტი შეძლებს:** • სწავლის დროს თეორიულ კონტექსტში განხილული თემების გაშლას და დამატებითი მასალების მოძიებას, მონაცემების ინტერპრეტაციას, დამუშავებას, • ლიტერატურასთან, წყაროებთან და ინტერნეტ რესურსებთან მუშაობას ტურიზმის სფეროში კარიერული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით; **6.ღირებულებები:** • მონაწილეობს ტურიზმის ღირებულების ფორმირების პროცესში, ისწრაფვის მათ

	დასამკვიდრებლად აცნობიერებს ტურიზმის სოციალურ მნიშვნელობას.

2.

მოდული : ეკონომიკა

პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანი:** საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ბიზნესის მართვის ბაკალავრის მომზადებას ძირითად სპეციალობაში: საფინანსო, საბანკო, სადაზღვეო საქმე დამატებით სპეციალობით - ეკონომიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებს უკეთესად დაეუფლონ ბიზნესის მართვის ასპექტებს, ეკონომიკის ფუნდამენტური საკითხების და კვლევის მეთოდების შესწავლას, რომელიც ბიზნეს-ორგანიზაციების ეფექტიანონის ამაღლების და წარმატების საწინდარია. ეკონომიკის საკითხების შესწავლა წარმართავს ადამიანის ყოველდღიურ საგმიანობას, განსაზღვრავს მათ, როგორც მომხმარებლის ისე მწარმოებლის ქცევის წესებს. პროგრამის მიზანია სპეციალისტებისათვის ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების და ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში. შეეძლებათ წარმატებით ადმინისტრირება ბიზნეს ორგანიზაციებში. სტუდენტი იძებს საჭირო უნარ-ჩვევების ისეთ პაკეტს, რომელის დაეხმარება მთელი მისი კარიერის განმავლობაში. პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე.

სწავლის შედეგი	**1. ცოდნა და გაცნობიერება:** - აქვს ეკონომიკის საფუძვლების ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შეუძლია ბიზნეს - ორგანიზაციის დაგეგმვა, ორგანიზება მისი გარემოს და მართვის თეორიების, ძირითადი პრინციპების და ეკონომიკური კანონზომიერების ცოდნა; - ფლობს ეკონომიკური კვლევის თანამედროვე კვლევის მეთოდებს; - იცის ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი პირობების, ადგილის, დროისა და გარემოებების შეფასება, კარგად ერკვევა რაოდენობრივ და სტატისტიკურ კვლევის მეთოდებს; - აქვს საჭირო ცოდნა დარგის და ქვედარგების სტრუქტურასა და მათ შორის ურთიერთკავშირის შესახებ; - აქვს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: პროექტების მართვის, ფინანსური მენეჯმენტის, ლოგისტიკის, მარკეტინგის. ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსების და ბუღალტრული აღრიცხვის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ცოდნა; - ფლობს საერთაშორისო ბიზნეს-სამყაროს და გლობალური ეკონომიურ გარემოს შესახებ ინფორმაციენის მოპოვების თაბამედროვე - უახლეს ტექნოლოგიებს; - გაცნობიერებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა, ქვეყნის ეროვნული ინტერესების და ტრადიციების სამართლებრივი და ეთიკური ნორმების განვითარების და დაცვის ძირითადი პრიბციპე

	2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: - პროექტების მართვის უნარი, მიზნების და ამოცანების ფორმულირება, დაგეგმვა და შედეგების გაგსაზღვრა; - ორგანიზაციაში პროცესების მართვის უნარი, ბიზნეს გეგმის შედგენა, მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება; - ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარები, ანგარიშების მომზადება და წარდგენა, ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება, ფინანსური ინფორმაციის ეკონომიკური ანალიზი და ანგარიშგების მომზადება; - დამოუკიდებლად მუშაობა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება, საფინანსო და საგადასახადო დოკუმებტაციის მომზადება და პრეზენტაცია; - ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირების და დიაგნოსტირების უნარი, პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება, მათი დასაბუთება და დაცვის უბარი; - ოპერატიული და დროული გადაწყვეტილებების მიღების უნარი; - ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის პროგნოზირება, სტრატეგიული გეგმის შედგენა, –ანალიტიკური აზროვნება; - მოწინავე მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების დანერგვა და შედეგებზე ორიენტირება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით; - ახალი ეკონომიკური მეთოდების და ეთიკური ნორმების გამოყენებით საქმიანობის, ინსტრუქციების მიხედვით კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის უნარი. **3. დასკვნის გაკეთების უნარი:** - უნდა შეეძლოს კვლევის პროცესების აქტიურად წარმართვა, ობიექტური დასკვნების გამოტანა და ანგარიშის დემონსტრირება; - შეუძლია დამოუკიდებლად ახალი და სხვა ოფიციალური მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზი თეორიული ცოდნის და ბიზნეს სფეროსათვის შესაბამისი კვლევის ეკონომიკური მეთოდების: სტატისტიკის, მათემატიკური, საპროექტო-კონსტრუქციული, საბალანსო, გრაფიკული და სხვა მეთოდების გამოყენებით; - სამეცნიერო მოხსენებების მომზადება და პრეზენტაცია, - შეუძლია კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნის და პროფესიული სხვა უნარების გამოყენება; - შეუძლია სპეციფიკური სამუშაოების ან კონპონენტების გამოყოფა და განრიგების შედგენა, სამუშაოს შესრულება წინასწარ დადგენილ ვადებში; - შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების დასაბუთება დაცვა; - შეუძლია ინტელექტუალური უნარის გამოვლენა, კრიტიკული აზროვნება, მოცემულ სიტუაციის ადაპტირება, ცოდნის ინტეგრირება, ანალიზის ინტერპრეტაცია, მოსმენის და დასკვნების გაკეთების უნარი; - შეუძლია არგუმენტირებული დასკვნის გაკეთება დამოუკიდებლად თვითრეალიზაცია, შინაგანი მოტივაცია,

	დაგეგმვის და ორგანიზაციული საქმიანობის რესურსების ოპტიმალური გამოყენება. **4. კომუნიკაციის უნარი:** - შეუძლია ზეპირი და წერითი კომუნიკაცია, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტით სარგებლობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება, პრეზენტაცია და კომუნიკაბელურობა; - შეუძლია ელექტრონული ინფორმაციის გამოყენება, პრეზენტაცია და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა; - ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი; - შეუძლია ჯგუფური მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება, ეფე ქტური ურთიერთობა სასწავლო და სამუშაო ჯგუფებში; - შეუძლია კვლევითი და ბიზნესპროექტების შემუშავება. დისკუსიებში მონაწილეობა, დროის დაგეგმვა და ორგანიზება. **5. სწავლის უნარი:** - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესების დამოუკიდებლად მართვის, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის სწავლის გაგრძელების უნარი; - შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება, ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზების და პროგრამების გამოყენების უნარი. **6. ღირებულებები:** – პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას და არაპროგნოზირებად პირობებშ მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად; – პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულბებს და უზიარებს სხვებს; – აფასებს სხვების – კოლეგების დამოკიდებულებას და პასუხისმგებლობას პროფესიულ ღირებულებებთან; – შეუძლია კრიტიკულ სიტუაციებში პროფესიული ღირებულებების (კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, კომფედენციალობა, წინდახედულობა, პუნქტუალობა, პიროვნული ღირსება და სხვა) ეთიკური ნორმების დაცვა